ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 63 (4057) 31 1970 წ. მარტი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „იუჰანესჰოფის" ყინულზე

სტოკჰოლმი, 29 მარტი. ჰოკეისტთა 37-ე მსოფლიო ჩემპიონატში, როგორც წესი, სენსაციების ავტორები ფინელები არიან. ასე მოხდა გუშინაც, როცა „იუჰანესჰოფის" ყინულის მოედანზე სათამაშოდ გამოვიდნენ გდრ-ისა და ფინეთის გუნდები.

სატურნირო მდგომარეობა ფინელებს მოგებისთვის აქეზებდა, თუ, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებზე განაცხადებდნენ პრეტენზიას. მატჩი გერმანელთა ენერგიული შეტევით დაიწყო. პირველი შაიბაც ფინელთა კარში აღმოჩნდა. მეორე პერიოდში ფინელებმა ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით და სამი უპასუხო შაიბა მოათავსეს გერმანელთა კარში. მესამე პერიოდში უკვე გერმანელებმა გამოიყენეს ასეთი უპირატესობა და ანგარიში გაათანაბრეს. თამაშის დამთავრებამდე 3 წუთი რომ დარჩა, მათ გამარჯვების მომტანი შაიბაც გაიტანეს — 4:3. ამ დამარცხებით ფინელებმა ბრინჯაოს მედლების მოპოვების შანსი დაკარგეს.

შემდეგ ყინულის მოედანზე შვეციისა და პოლონეთის გუნდები გამოვიდნენ. შვედებმა იოლი გამარჯვება იზეიმეს — 5:1.

დღეს გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. ამ შეხვედრას უნდა გაერკვია, რომელი გუნდი დატოვებდა მსოფლიო ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ჯგუფს საგაისოდ. ეს გუნდი პოლონეთის ნაკრები აღმოჩნდა, რომელმაც ანგარიშით 2:5 წააგო გდრ-ის სპორტსმენებთან.

ამრიგად, დარჩა კიდევ ორი მატჩი, რომელთაგან ერთს (შვეცია — სსრ კავშირი) გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში. მოგაგონებთ, რომ შვეციისა და სსრ კავშირის ჰოკეისტები დღემდე ერთმანეთს 18-ჯერ შეხვდნენ. აქედან 12 მატჩში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ხოლო 2 შეხვედრა შვედებმა (მათ შორის, ერთხელ ამ ჩემპიონატში) მოიგეს.

ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს ჩეხოსლოვაკიელებმა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ფინეთი, გდრ, პოლონეთი.

### გათამაშების საგოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 10 | 9 | 0 | 1 | 68—11 | 18 |
| შვეცია | 10 | 7 | 1 | 2 | 45—22 | 15 |
| ჩეხოსლ. | 10 | 5 | 1 | 4 | 47—30 | 13 |
| ფინეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 31—40 | 10 |
| გდრ | 10 | 2 | 1 | 7 | 20—50 | 5 |
| პოლონეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 11—70 | 1 |



## გუშინ... სსრ კავშირის ნაკრები — კვლავ ჩემპიონი!

სტოკჰოლმში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და შვეციის ჰოკეისტთა გუნდები. ანგარიშით 6:1 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც შეინარჩუნეს მსოფლიო ჩემპიონობა. მანამდე ფინელებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს — 5:3.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები. მარცხნიდან (ქვევით) — ვ. კონოვალენკო და ვ. ტრეტიაკი; პირველ რიგში — ვ. დავიდოვი, ვ. ხარლამოვი, ვ. ვიკულოვი, ბ. მიხაილოვი. მეორე რიგში — ი. რომიშევსკი, ა. ფირსოვი, ი. სამოჩერნოვი, ვ. პეტროვი, ვ. პოლუპანოვი, ა. რაგულინი. მესამე რიგში — ნაკრების მწვრთნელი ა. ტარასოვი, ა. მარტინიუკი, ვ. სტარშინოვი, ი. რეპსი, ვ. ნიკიტინი, ვ. შადრინი, ა. იაკუშევი, ე. მიშაკოვი, ვ. ლუტჩენკო, ე. პოლადიევი, ა. მალცევი, ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. ჩერნიშოვი.

ფოტო ვ. სობოლევისა (საკდესი).

## თინათინის რეკორდი

ლენინგრადში დიდი ინტერესი გამოიწვია მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებამ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე.

თბილისელმა თინათინ ლეკვეიშვილმა მეორედ ისახელა თავი — ამჯერად 200 მეტრზე გულაღმა ცურვის ფინალშიც ყველას აჯობა და, ამასთან, 25-მეტრიანი აუზებისთვის ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა გოგონათა შორის. თანაგუნდელებიდან ლეკვეიშვილს სათანადო მეტოქეობა ვერავინ გაუწია. მას დიდხანს მხარდამხარ მიჰყვებოდნენ დ. კოჰარდტი (გდრ) და უ. ბერული (ინგლისი), მაგრამ ქართველმა მოცურავემ ისინიც დაამარცხა — 2.29,8.

ამ შეჯიბრებაში ჭაბუკთა შორის კიდევ ორი საკავშირო რეკორდი დამყარდა. ორივე რეკორდის ავტორია 16 წლის ა. სამსონოვი. მან ჯერ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით 1.57,6 აჩვენა, მერე კი 400 მეტრზე ამავე სტილით წინასწარ გაცურვაში — 4.12,4 და ფინალში გავიდა.

ვოროშილოვგრადელმა ლ. მილენინამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 5.17,5. მაგრამ იგი მაინც II ადგილს დასჯერდა, ვინაიდან ცნობილმა სპორტსმენმა ე. შტოლცემ (გდრ) აჯობა — 5.16,8.

კვლავ წარმატებით გამოვიდნენ მოსკოველები გ. სინიცინა და ვ. ბურე. ამჯერად მათ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგეს — 1.01,8 და 52,7 შესაბამისად.

## სოფელი ტალანტების წყაროა

სოფლად სპორტი უკვე აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა. იგი ჯანმრთელობის წყაროა მინდვრის მუშაკებისთვის, მეცხოველეებისთვის, მექანიზატორებისთვის, აგრონომებისთვის. 27 მარტს მოეწყო ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოებების ცენტრალური საბჭოს პირველი პლენუმი, რომელიც სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა. მოხსენებით — „სოფლის სპორტსაზოგადოებათა მიერ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილებათა განხორციელება" — პლენუმზე გამოვიდა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. სობოლევი.

ბოლო წლებში სასოფლო სპორტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 22, აგრეთვე, საშუალო სპეციალური სასწავლებლების 35 საუკეთესო კოლექტივს სოფლის სპორტული კლუბის საპატიო წოდება მიენიჭა.

...დიდი წარმატებები მოიპოვეს ჩიტას ოლქის სპორტკლუბ „ზუგალაის" ფიზკულტურელებმა. პლენუმის დელეგატები ტაშით შეხვდნენ კლუბის თავმჯდომარის რ. ცედაშიევის სიტყვებს, რომ ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან მოამზადეს ორი სპორტის ოსტატი მშვილდოსნობაში, ერთი — ჭიდაობაში, რომ 623 კოლმეურნიდან 510 კლუბის წევრია.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სასოფლო სპორტის განვითარების რთულ პრობლემებს. ლაპარაკი იყო არსებული სპორტინვენტარის უფრო ეფექტურად გამოყენების აუცილებლობაზე, სპორტულ ახალმშენებლობათა სწორად დაგეგმვაზე ითქვა, რომ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების ყველა კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს არა მარტო სპეციალისტის, არამედ საზოგადოებრივი მწვრთნელის დიპლომიც.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტსაზოგადოებების ცენტრალური, სამხარეო, საოლქო და რაიონული საბჭოების, აგრეთვე, ფიზკულტურული კოლექტივების უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს სოფლის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მობილიზება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების იმ ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, რომლებიც საბჭოთა ხალხს სკკპ XXIII ყრილობამ და 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა დაუსახეს, აგრეთვე, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის. (საკდესი).

## დღის წესრიგშია სპორტი

27 მარტს მოსკოვში დამთავრდა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო მეთოდური საკავშირო კონფერენცია, რომელმაც სამ დღეს გასტანა. ეს კონფერენცია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში კონფერენციის მუშაობის დღეებში თავს იყრიდნენ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სპორტსმენები და მწვრთნელები, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ფიზკულტურის მასწავლებლები, მეცნიერ-მუშაკები. მოხსენებებითა და ინფორმაციებით გამოდიოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ალმა-ათის, ტაშკენტის, მინსკის, რიგის, თბილისის, ტალინის, ვილნიუსისა და სხვა ქალაქების მეცნიერები. საუბარი იყო ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაზე, ხალხის ყოფაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვაზე, სპორტული წვრთნის თანამედროვე სისტემაზე და ა. შ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგემ ბ. გონჩაროვმა.

(საკდესი).

## სპარტაკიადა სათანადოდ უნდა გაფორმდეს

სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის პროპაგანდისთვის ღონისძიებათა ფართო გეგმა დასახა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ, რომელიც 26 მარტს შეიკრიბა. განზრახულია გამოუშვან ლამაზი პლაკატები, აფიშები, და პროგრამები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. გადაწყდა სსრ კავშირის მხატვართა კავშირთან ერთად მოაწყონ საკავშირო გამოფენა „ფიზიკური კულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში", გამოფენები — „სპორტი და ფილატელია", „სპორტი მხატვრულ ფოტოგრაფიაში". ამას გარდა, საინტერესო იქნება სპორტული ლიტერატურის, ინვენტარისა და ტანსაცმლის გამოფენებიც. ხალხთა V სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დღეებში მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკებში შედგება სპორტული ფილმების ფესტივალები და კვირეულები.

კოლეგიამ დიდი ყურადღება დაუთმო „სპორტპროექტის" ინსტიტუტის საქმიანობას, მასალებს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მუშაობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დამპროექტებლებმა პრაქტიკულად ჯერ კიდევ ცოტა რამ გააკეთეს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარებისთვის, ხარჯების შემცირებისთვის, სერიოზულად გააკრიტიკეს დნეპროპეტროვსკის ოლქის ფიზკულტურული მუშაკები, რომლებმაც სათანადოდ არ იზრუნეს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის დათვალიერების კარგად მოწყობისთვის, ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის გამოცდის ჩატარებისთვის.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ოლქის ფიზკულტურული კოლექტივების უმეტესობაში სულ ცოტა ხნის წინ კომკავშირელები და ახალგაზრდები სათანადოდ არ იყვნენ ჩაბმული გამოცდისთვის რეგულარულ მზადებაში. ცუდად იყო ორგანიზებული დათვალიერების პირველი ეტაპი დნეპროპეტროვსკსა და კრივოი როგში, სადაც ოლქის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს. ეს ყველაფერი ორგანიზატორული მუშაობის დაბალი დონის, სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შედეგია. თუმცა ამ ბოლო ხანს უკვე დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, დათვალიერების ორგანიზაციასა და ჩატარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კოლეგიის გადაწყვეტილებით, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა გამოჩენილ საბჭოთა ძალოსანს ვ. ალექსეევს, რომელმაც მსოფლიოში პირველმა მიაღწია ხამჭიდის ჯამში 600 კილოგრამს. (საკდესი).

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

# „მიყვარს ვაჟკაცური სამუშაო"

ნოდარს მართლაც კარგი გვარი აქვს — პირველი. პირველობა მუდამ ძნელია. ზემო სვანეთში, თავის მშობლიურ სოფელ იფარში ნოდარი პირველი კლდეზე მცოცავი იყო. და აი, ერთხელ ზურნის ხმამ საჭიდაო მოედანზე უხმო. იქ მისი უფროსი ძმა — ანდრო გამოდიოდა. ლამაზად, შთაგონებით ჭიდაობდა ანდრო და ეს ორთაბრძოლა სოფლის ბიჭებს დიდხანს ახსოვდათ. ნოდარმა მაშინ იფიქრა პირველად, მეც ასეთი მოჭიდავე უნდა გავხდეო.

მალე ოჯახი გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მეხუთეკლასელმა ნოდარმა გადაწყვიტა: ყველას დავუმტკიცებ, რომ მეც შემიძლია ჩემპიონი გავხდეო. იგი ამაყად გამოვიდა ხალიჩაზე და... წააგო.

1962 წელს ნოდარმა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების მოჭიდავეთა საკავშირო ასპარეზობაში ქვესაშუალო წონაში ყველა პირველთანრიგოსანს აჯობა და საკავშირო საბჭოს სპეციალური სიგელი მიიღო. სხვათა შორის, 18 ქართველი ათლეტიდან ამ შეჯიბრების ფინალში მხოლოდ ორი მოხვდა და მათგან ერთ-ერთი ნოდარი იყო.

ასე აუხდა ოცნება. შემდეგ წელიწადს ნოდარმა ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

უკან დარჩა არმიაში სამსახური, მასწავლებლობა. უკვე წელიწადნახევარია ნოდარ პირველი სოხუმის მილიციის საქალაქო განყოფილების თანამშრომელია.

... გვიან ღამით დაირეკა ზარი — ფარდულს ქურდავდნენ. მანქანა სოხუმის ქუჩებში გაიჭრა. ნოდარი შემთხვევის ადგილზე გადმოვიდა, ყურადღებით მოათვალიერა გარემო და კარს მივარდა. რამდენიმე წუთს გასტანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ. აი, აქ გამოადგა პირველს ძალა, სიმამაცე, შეუპოვრობა... დამნაშავე მილიციას ჩაბარდა.

ახლა ნოდარი გამოსაძიებელში მუშაობს. ისევ წკრიალებს ზარი, ესე იგი, ვიღაც ლოთმა მშვიდობიანი მოსახლეობა ააფორიაქა. პირველი აქაც წესრიგის სადარაჯოზე დგას. ამას წინათ მან სოხუმის რაიონის სოფელ ლინდავის კოლმეურნე პ. ჩიმიანოვი დააკავა, რომელიც დამთვრალიყო და ქუჩაში დებოში აეტეხა, შემდეგ — სარატოვის მექანიზაციის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი, სოხუმის მცხოვრები ნ. მელაშვილი, შემდეგ — სოხუმის ერთ-ერთი მაღაზიის ნოქარი ა. ავეტისიანი...

დიახ, შფოთიანი სამსახური აქვს ნოდარ პირველს, მაგრამ სწორედ ასეთი იყო მისი არჩევანი. აკი მითხრა კიდეც, ვაჟკაცური სამუშაო მიყვარსო.

ვ. ზუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.



• • •

სურათზე: ნ. პირველი.

# გვჭირდება ახალი დარბაზი

აჭარის დედაქალაქის საჭიდაო დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1952-54 წლებში დაბადებულთა შორის. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვებისა" და ბავშვთა სპორტსკოლის ნაკრები გუნდები.

17 ქულით ჩემპიონის წოდება დინამოელებმა მოიპოვეს (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. თარგამაძე). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბავშვთა სპორტსკოლისა და „სპარტაკის" მოჭიდავენი.

წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესნი იყვნენ: შ. ბერიძე (სპორტსკოლა), ლ. ლეჟავა, გ. კუნჭულია (ორივე — „დინამო"), ვ. კოპალიანი („ბურევესტნიკი"), თ. გორგილაძე („განთიადი"), ტ. გურგენიძე, ა. ღლონტი, ზ. ჭელიძე, ა. ქორჟოლიანი, ა. ქიბროწაშვილი (ყველა — „დინამო").

შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. მონაწილეთა რაოდენობა სარეკორდო იყო. ასპარეზობამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა, გუნდებმაც დიდი დაინტერესება გამოიჩინეს ტურნირისადმი. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბათუმში კარგა ხანია მომწიფდა სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობის საკითხი. არსებული დარბაზები მსურველთა მინიმუმსაც კი ვერ იტევს.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

[illegible]

## ქუთაისი

გაიმართა ქალაქის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ჩემპიონები გახდნენ: გ. კუტივაძე, ღ. ჩხენკელი, ა. შეყრილაძე, ა. ტურაბელიძე, ქ. მაისურაძე, ვ. ბაბუხადია, ვ. კუჭავა, თ. გოდუაძე, ს. ხიზანიშვილი, გ. არველაძე. კარგი მომზადება გამოავლინეს მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. ტურაბელიძემ, მე-4 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელმა ქ. მაისურაძემ და დინამოელმა ს. ხიზანიშვილმა.

შ. ნიჟარაძე.

# საქართველოს 10 საუკეთესო

## მძლეოსნობა

### 1969 წლის შედეგების მიხედვით

### სიმაღლეზე ხტომა

ევროპის რეკორდი — 228 სმ.
ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი), 1963.

სსრ კავშირის რეკორდი — 228 სმ.
ვ. ბრუმელი (მოსკოვი), 1963.

საქართველოს რეკორდი — 217 სმ.
რ. შავლაყაძე (თბილისი), 1964.

თ. მდივანი — 215 (41), თბილისი, „სპარტაკი". 19. VII. ოგრე; ნ. საგანელიძე — 210 (48), თბილისი, „განთიადი". 4. IX, ყაზანი; ო. ჩახუნაშვილი — 195 (48), თბილისი, „დინამო". 18. IV, ლესელიძე; ვ. პოპოვი — 195 (48), თბილისი, „შრომითი რეზერვები". 17. V, თბილისი; ვ. უზმორსკი —195 (52), თბილისი, „დინამო". 12. VI, თბილისი; ვ. ბეზდელნი — 190 (48), თბილისი, „შრომითი რეზერვები". 5. IV, თბილისი; ი. დიაჩკოვი — 190, 20. V, ნალჩიკი; პ. კრასნოვი — 190 (49). თბილისი, „შრომითი რეზერვები". 28. VI, თბილისი; ი. ბოლქვაძე—190 (46), თბილისი, „ლოკომოტივი". 28. VI, თბილისი; ა. შუბინი — 190 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 15. VII, ლენინაკანი; გ. მებონია — 190 (51), თბილისი, „განთიადი". 19. VII, ოგრე; შ. ართმელაძე — 190, 25. VII, კრასნოდარი; ო. ყიფიანი — 190, 20. VIII, ვოლგოგრადი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 196, 1969 წ. — 196.

### ჭოკით ხტომა

ევროპის რეკორდი — 540 სმ.
ქ. შიპროვსკი (გფრ), 1968.
ვ. ნორდვიგი (გდრ), 1968.

სსრ კავშირის რეკორდი — 530 სმ.
გ. ბლიზნეცოვი (ხარკოვი), 1968.

საქართველოს რეკორდი — 470 სმ.
ი. დიაჩკოვი (თბილისი), 1966.

ს. თათევოსიანი — 450 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი". 20. VII, ოგრე; ი. დიაჩკოვი — 440, 21. V, ნალჩიკი; ლ. გუგეშაშვილი—440, 12. X, ნალჩიკი; ა. ვიბლიანი — 425 (45), თბილისი, „დინამო". 24. V, თბილისი; ბ. პისარევი — 4 მ (49), სოხუმი, „დინამო". 7. VI, თბილისი; ა. კოსტინი — 4 მ, 24. VIII, თბილისი; ნ. ჩეკუშკინი — 390 სმ (48), თბილისი, „ბურევესტნიკი". 29. XI, თბილისი; ვ. მთიულიშვილი — 360 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი; ვ. ამოსოვი — 360 (52), თბილისი, განათლების განყოფილება. 15. VII, ლენინაკანი; ს. მანჟუკოვი—360 (54), თბილისი, განათლების განყოფილება. 19. VII, ლენინაკანი; ა. ტყემალაძე — 360 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი", 8. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 397, 1969 წ. — 402.

### სამხტომი

მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირისა და საქართველოს რეკორდი — 17,39 მ.
ვ. სანეევი (სოხუმი), 1968.

ვ. სანეევი — 17,34, 17. IX, ათენი; ლ. დარახველიძე—15,83, 21. X, ნალჩიკი; მ. ფრიდმანი—15,50 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი". 29. V, თბილისი; ვ. ჩუკანოვი — 15,24, 27. VII, მოსკოვი; ა. ჩერნიშოვი — 15,01 (47), თბილისი, „სპარტაკი". 26. V, თბილისი; თ. გიორგობიანი — 14,91 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი; ბ. ჩხეიძე — 14,83 (36), თბილისი, „სპარტაკი". 19. VII, ოგრე; ა. შაბანოვი — 14,80 (51), სოხუმი, „დინამო". 15. VII, ლენინაკანი; ვ. სალაკაევი — 14,71, 26. V, თბილისი; ს. კივა — 14,65 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 15,11, 1969 წ. — 15,25.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 55.

### ბადროს ტყორცნა

ევროპის რეკორდი — 68,06.
რ. ბრუხი (შვეცია), 1969.

სსრ კავშირისა და საქართველოს რეკორდი — 62,14.
გ. გუდაშვილი (თბილისი), 1968.

გ. გუდაშვილი — 59,92 (41), თბილისი, „დინამო". 3. VII, მარიანსკე ლაზნე; ი. დიაჩკოვი — 48,66, 10. VII, ბათუმი; ზ. დოლიძე—47,80 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 21. XI, თბილისი; ნ. ნაზლაიძე — 47,70 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 5. X, პიატიგორსკი; ლ. გუგეშაშვილი — 45,87, 27. X, თბილისი; ნ. ჭინჭარაული — 45,04 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი". 2. X, თბილისი; ვ. ტარანი — 45 მ (39), თბილისი, „განთიადი". 28. X, თბილისი; ჯ. მჭედლიძე — 44,46 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 28. VI, თბილისი; ფ. ჩერკაშინი—43,16 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი". 24. VII, ოდესა; ო. ხოლოდოკი — 42,24 (34), თბილისი, „შრომითი რეზერვები". 28. X, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ.—48,21, 1969 წ. — 47 მ.

### შუბის ტყორცნა

ევროპის რეკორდი — 92,70.
ი. კინუნენი (ფინეთი), 1969.

სსრ კავშირის რეკორდი — 91,98.
ი. ლუსისი (შეიარაღებული ძალები), 1968.

საქართველოს რეკორდი — 80,99.
ქ. გორძამაშვილი (თბილისი), 1966.

კ. გორძამაშვილი — 74,88 (41), თბილისი, „დინამო". 3. VIII, ოდესა; ლ. აროშიძე — 72,72 (43), თბილისი, „კოლმეურნე". 10. VIII, მოსკოვი; ნ. ზვიადაური — 68,52 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26. X, თბილისი; ლ. ნანიევი — 67,72 (43), ცხინვალი, „განთიადი". 20. VII, ოგრე; ლ. შაგოვი — 67,33 (38), ბათუმი, „დინამო". 9. VII, ბათუმი; ნ. მგელაძე — 66,52 (41), თბილისი, „სპარტაკი". 30 VI. თბილისი; ი. გიგაური — 65,14 (34), თბილისი, „ლოკომოტივი". 30.VII, თბილისი; ვ. რიაბინკინი—64 მ (48), ახალციხე, „დინამო". 27. X, თბილისი; შ. ხვთისიაშვილი — 63,62 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 4. VII, ოგრე; ი. კოვინკო — 61,50 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. IV, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ.—67,87, 1969 წ. — 67,20.

### უროს ტყორცნა

მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდი—75,48.
ა. ბონდარჩუკი (როვნო), 1969.

საქართველოს რეკორდი — 58,70.
ა. ბაგაური (თბილისი), 1969.

ა. ბაგაური — 58,70 (45), თბილისი, „კოლმეურნე". 27. VI, ნალჩიკი; ფ. ჩერკაშინი — 58,59, 23. VII, ოდესა; ი. ფხაკაძე — 55,60 (55), თბილისი, „დინამო". 20. VII, ოგრე; მ. გაფრინდაშვილი — 55,30 (52), თბილისი, „დინამო". 6. IV, სოჭი; ი. ბარსლივა — 54,30 (48), თბილისი, „კოლმეურნე". 27. VI, ნალჩიკი; ი. ჩერკაშინი — 53,24 (49). თბილისი, „ბურევესტნიკი". 30. VI, თბილისი; ო. ართილაყვა — 53,16 (37), თბილისი, „ლოკომოტივი". 30. VI, თბილისი; ჯ. ნარიმანიძე — 49,86 (50), თბილისი, „შრომითი რეზერვები". 9. X, პიატიგორსკი; რ. ჩიტაიშვილი — 47,98 (49), თბილისი, „განთიადი". 30. VI, თბილისი; შ. შანიძე — 47,10 (38), თბილისი, „სპარტაკი". 30. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 54,43, 1969 წ. — 53,38.

### ბირთვის კვრა

ევროპის რეკორდი — 20,64.
ჰ.-პ. გისი (გდრ), 1969.

სსრ კავშირის რეკორდი — 20,28.
ე. გუშჩინი (მოსკოვის ოლქი), 1968.

საქართველოს რეკორდი — 18,91.
მ. ოყროშიძე (თბილისი), 1969.

მ. ოყროშიძე — 18,91 (42), თბილისი, „ბურევესტნიკი". 2. VII, ოდესა; ი. დიაჩკოვი — 16,27, 17. V, ნალჩიკი; ვ. მაისურაძე — 16,18 (42), თბილისი, „ბურევესტნიკი". 27. VI, თბილისი; ბ. ხარჩილავა — 14,61 (42), ქუთაისი, „განთიადი". 6. VI, თბილისი; გ. ხუციანიძე — 14,55 (42), თბილისი, „ბურევესტნიკი". 4. VI, თბილისი; თ. ხმელიძე — 14,27 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. VI, თბილისი; გ. გუდაშვილი — 14,06, 26. VI, თბილისი; ო. გოშაძე — 13,93 (38), თბილისი, „ლოკომოტივი". 27. VI, თბილისი; ლ. გუგეშაშვილი — 13,81, 26. X, თბილისი; თ. გოგიბერიძე — 13,60 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. IV, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 14,79, 1969 წ. — 15,02.

### ათჭიდი

ევროპის რეკორდი — 8319 ქულა.
კ. ბენდლინი (გფრ), 1968.

სსრ კავშირის რეკორდი — 8032.
ვ. შჩერბატიხი (კიროვი), 1969.

საქართველოს რეკორდი — 7879.
ი. დიაჩკოვი (თბილისი), 1968.

ი. დიაჩკოვი — 7760, 20-21. V, ნალჩიკი; ლ. გუგეშაშვილი — 7179, 26-27. X, თბილისი; ი. ჩირიკაშვილი — 6382, 7-8. VIII, მოსკოვი; ო. მოსიკაშვილი — 6230 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26-27. X, თბილისი; ო. ყიფიანი — 6132, 20-21. X, ნალჩიკი; ა. კუცოვი — 6074 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26-27. X, თბილისი; მ. ტუღუში — 5946, 7-8. VI, თბილისი; ი. რიმარი — 5764 (52), ბათუმი, განათლების განყოფილება, 15-16. VII, ლენინაკანი; ა. ტყემალაძე — 5515, 7-8. VI, თბილისი; ზ. თავბერიძე — 5442, 7-8. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 6190, 1969 წ. — 6442.

(გაგრძელება იქნება)

# როცა აკრობატიკას პატივს არ სცემენ

ამას წინათ აფხაზეთის დედაქალაქში ჩატარდა აკრობატთა საოლქო შეჯიბრება, რომელშიც 26 სპორტსმენი მონაწილეობდა. ხტომაში ქალთა შორის ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ა. პოლოსიანმა, ვაჟებში — სპორტის ოსტატმა გ. მოხიამ (ორივე — სოხუმი). შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს სპორტის ოსტატებმა ლ. ხარაზიამ და ლ. მილმანმა (ორივე — გუდაუთა).

საინტერესო იყო ბატუტზე ასპარეზობა. ვაჟებში აფხაზეთის ჩემპიონობა მოიხვეჭა გ. კალაიჯანმა, ქალებში — გ. ოსიპენკომ (ორივე — სოხუმი).

გუნდური პირველობა წილად ხვდათ სოხუმელებს. II ადგილზე არიან გუდაუთის წარმომადგენლები, III —... აი, სწორედ III ადგილი დარჩა ვაკანტური. ეს ამბავი წლიდან წლამდე გრძელდება, რადგან აკრობატიკას მხოლოდ სოხუმსა და გუდაუთაში სცემენ პატივს.

როდემდე გაგრძელდება ასე? ალბათ კარგა ხანს, ვინაიდან სოხუმის, გალის, გაგრის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებისა და ქ. ტყვარჩელის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები არაფერს აკეთებენ მდგომარეობის გამოსწორებისთვის, ხოლო აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ამ ამბავს რატომღაც ურიგდება.

გ. პოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სოხუმი.

## დახმარებას გთხოვენ

ჩვენც ხელი შეგვიწყვეთ!

შარშან ხაშურის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა „ბ" კლასის გუნდების რესპუბლიკურ შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა და I ჯგუფში მონაწილეობის უფლება მიიღო. გვეგონა, ეს წარმატება გაახარებდა რაიონის სპორტის მესვეურთ, მაგრამ... პირიქით მოხდა. დავიწყეთ თუ არა ახალი სეზონისთვის სამზადისი, გამოირკვა, რომ ამავე დარბაზში ფეხბურთელებს უნდა ევარჯიშნათ და ჩვენ უმალ გამოგვყარეს გარეთ.

ხაშურში კალათბურთს ბევრი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი ჰყავს. სამწუხაროდ, მათ წვრთნის ოდნავ პირობებსაც კი არ უქმნიან. ბაზაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაიონში არ მოიძებნება სპორტული ფორმა, ბურთები და სხვა ინვენტარი.

რაიონის სპორტის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება ფეხბურთისადმია მიმართული, რომელსაც, მიუხედავად ამისა, სიხარული ვერ მოაქვს გულშემატკივრებისთვის.

დროა, მოწყალების თვალით გადმოგვხედონ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებსაც. ნუ დაგავიწყდებათ, რომ წლეულს „ა" კლასში გვიწევს თამაში. დაგვეხმარეთ, თუ გსურთ, რომ შედეგი დამაკმაყოფილებელი გვქონდეს.

ხაშურის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი.

ბ. ჯაფარიძე




„ლეიკერსი“ გამოფხიზლდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. დასჯერდნენ იმას, რომ ანგარიშში სხვაობა 12 ქულამდე დაიყვანეს. ამას მოჰყვა მარცხი, ორი უფერული გამარჯვება და ისევ მარცხი. გუნდი შებოჭილად, უენთუზიაზმოდ თამაშობდა. კალათბურთელებს ჩემბერლენისა არ ესმოდათ. არც კოლფი იყო კმაყოფილი. მას სურდა, რომ ცენტრის მოთამაშეს აქტიური მონაწილეობა მიეღო ბურთის გათამაშებაში, მეტოქე მოეტყუებინა და ამით თავისი პარტნიორებისთვის სივრცე შეექმნა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ჩემბერლენს კი საჯარიმო მოედნის სიღრმეში, მეტოქის ფარქვეშ თამაში ერჩია, რათა გადაცემები მიეღო და გუნდისთვის ქულები მოეტანა. თავისი მოქმედებით იგი ბოჭავდა პარტნიორებს, ინიციატივას ართმევდა მათ. ბილ ვან ბრედა კოლფი კოლექტიურ თამაშს ალმერთებს. იგი ცდილობდა გამოეყენებინა მთელი სკამი, დაღლილი მოთამაშეები დაესვენებინა და თამაში ახალი ძალები ჩაება. ეს კი ნიშნავდა, რომ წავიდა დრო, როცა ჩემბერლენი მატჩის 48 წუთს მოედანზე ატარებდა. ჩემბერლენს კი მიაჩნდა, რომ შეუცვლელი იყო და ეს ამბავი ჭკუაში აღარ დაუჯდა. ამით დაიწყო მოთამაშისა და მწვრთნელის უთანხმოება. „მას არ უყვარს, როცა ვინმე ცვლის, — უთხრა ბეილორმა ერთ-ერთ რეპორტიორს. — უილტს მიაჩნია, რომ 48 წუთს დაუსვენებლად უნდა ითამაშოს“. მაგრამ კოლფი გუნდის ინტერესებს ითვალისწინებდა, ჩემბერლენს ცვლიდა, სათადარიგოთა სკამზე სვამდა, დასვენების საშუალებას აძლევდა და შემდეგ ისევ გაჰყავდა მოედანზე დაღლილი მოთამაშის მაგიერ. ჩემბერლენი განაწყენდა, საწვრთნელ მეცადინეობებს აცდენდა, სპორტული რეჟიმის დარღვევა დაიწყო. მის თამაშს თანდათან დააკლდა ელვარება. ბევრი ამბობდა, ჩემბერლენის ვარსკვლავი მალე ჩაესვენებაო. ბევრს ასე სჯეროდა, მაგრამ კოლფი სხვა აზრისა იყო. ერთხელ, როცა ჩემბერლენმა საწვრთნელი მეცადინეობა გააცდინა, კოლფმა შინ მოაკითხა მას.

— მომისმინე, უილტ, — დაიწყო მწვრთნელმა, — ჩვენ შეგვიძლია სამი გზით მოვრიგდეთ: ან მუშტი-კრივი გავაჩაღოთ, რაც მე მაინცდამაინც არ მინდა, ან კუკთან წავიდეთ, რათა მან გადაწყვიტოს, შენ უნდა დარჩე გუნდში თუ მე, ან არადა ორივემ ვცადოთ გამოვადგეთ გუნდს, დავეხმაროთ მას ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევაში.

მეორე დღეს ჩემბერლენი საწვრთნელ დარბაზში გამოცხადდა. კოლფი მხიარულად მიეგება მას, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყოს. შემდეგ მატჩს „ცინცინატი როი ალზთან“ დიდხანს ვერ დაივიწყებენ „ლეიკერსის“ გულშემატკივრები. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩემბერლენის პირველი შთაგონებული თამაში თავისი ახალი გუნდის ღირსების დასაცავად. „ლეიკერსი“ უბეილოროდ გამოდიოდა, „ცინცინატი“ — ულუკასოდ, ეს კალათბურთელები კი მუდამ ბრწყინვალებას მატებენ თამაშს. მიუხედავად ამისა, შეხვედრა ბრწყინვალე იყო. თამაშის დაწყებიდან მეთხე წამზე ჩემბერლენმა ჩამოხსნა ბურთი მეტოქის ფარქვეშ და ორივე ხელით ზევიდან ჩადო იგი კალათში. ეს იყო პირველი და უკანასკნელი 2 ქულა, რომელიც მან ამ მატჩში მოუტანა თავის გუნდს. მაგრამ დაცვაში ჩემბერლენის თამაშს სპეციალისტებმა ფანტასტიკური უწოდეს. „უილტი განსაცვიფრებელი იყო, — თქვა კოლფმა მატჩის შემდეგ. — მისი თამაში დაცვაში ჩვენ დაახლოებით 50 ქულად გვიღირდა“. მართლაც, ამ მატჩში „ლეიკერსი“ ბრწყინვალედ გამოვიდა. ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები მთელი გუნდის კოლექტიურ თამაშს ენაცვლებოდა. ჯერი უესტმა გუნდს მოუტანა 36, კაუნტ ჰოკინსმა — 21 ქულა. გარდა ჩემბერლენისა, დაცვაში ძალიან კარგად ითამაშა კეის ერიკსონმა, რომელიც გასაქანს არ აძლევდა ოსკარ რობერტსონს. მაგრამ კოლფმა ყველა მოთამაშეს შორის განსაკუთრებით გამოჰყო ჩემბერლენი. მან თქვა, რომ გუნდმა გაიმარჯვა მხოლოდ დაცვაში ჩემბერლენის ბრწყინვალე თამაშის წყალობით. დაცვაში თამაშის საუკეთესო მცოდნე ბილ რასელი, რომელმაც ამ მატჩში ჩემბერლენი ნახა, ამბობდა: „ჯერ არ მახსოვს, რომ ოდესმე ვინმეს დაცვაში ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს“. მატჩში იყო მომენტი, როცა „ლეიკერსი“ 4 ქულით დაწინაურდა და ბურთიც მას ჰქონდა. მაგრამ აი, ერთი უზუსტო გადაცემა და ბურთი ოსკარ რობერტსონმა მიიღო. ელვისებური გარღვევა და ტყორცნა. ამ დროს ჩემბერლენი ისარივით აიჭრა ჰაერში, მაღალი ტრაექტორიით ნატყორცნი ბურთი ფარის ზედა კუთხეში დაიჭირა და ძირს არც დაშვებულა, ისე მიაწოდა გრძელი დიაგონალური გადაცემით უესტს. ამ გამარჯვების შემდეგ „ლეიკერსის“ საქმე გამოკეთდა. გუნდმა 22 მატჩი დაუმარცხებლად ჩაატარა და I ადგილი დაიკავა. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, — ამბობს კოლფი, — რომ გუნდმა კოლექტიური თამაშის გემო გაიგო და გამარჯვებას ცალკეული კალათბურთელების წყალობით კი არ აღწევს, არამედ მთელი კოლექტივის მონდომების შედეგადო.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელოს“ წინა ნომერში.

## ბილ რასელის მემკვიდრე

„ფილადელფია 76“-თან ჩატარებული უძნელესი მატჩის შემდეგ სახელგანთქმული „ბოსტონ სელტიკსის“ უზომოდ დაღლილმა, მაგრამ გახარებულმა კალათბურთელებმა ალყაში მოაქციეს მოთამაშე № 18.

იგი მორცხვად იღიმებოდა და ისე იღებდა მილოცვას ამხანაგებისგან. როცა მთელმა გუნდმა გასახდელში მოიყარა თავი, ბოსტონელთა მოთამაშე-მწვრთნელი ბილ რასელი ამ კალათბურთელთან მივიდა, მეგობრულად გადაეხვია და უთხრა: „ბეილი, დღეს შენ ბრწყინვალედ თამაშობდი. დიდი მადლობა, ძმობილო“.

ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა შორის „ბოსტონ სელტიკსის“ წევრი, 32 წლის ბეილი ჰოველი საპატიო მესამე ადგილზეა ისეთი გამოჩენილი კალათბურთელების შემდეგ, როგორიც ჩემბერლენი და ბეილორი არიან. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით სპეციალისტებმა და კალათბურთის მოყვარულებმა ჰოველი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მისი ტალანტი განსაკუთრებით ელვარებს თავდასხმაში. თუ იმასაც დავსძენთ, რომ გუნდში ჰოველს გარდა თამაშობენ თანამედროვე კალათბურთის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან რასელი, საჩ სანდერსი და ჯონ ჰავლიჩეკი, მაშინ ცხადი გახდება, რატომ ღელავენ ბოსტონელებთან შეხვედრის მოლოდინში სხვა გუნდები. მათ განსაკუთრებით ეშინიათ „სელტიკსის“ ცენტრალური მოთამაშის ბეილი ჰოველისა. ეს დიდი აღიარება ჰოველმა საკმაოდ გვიან მოიპოვა. რაც გინდათ თქვით და, იგი უკვე 32 წლისაა. 1968 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ ჰოველი კალათბურთის მიტოვებასაც კი აპირებდა და მხოლოდ ბილ რასელის დაჟინებული თხოვნით დარჩა გუნდში კიდევ ერთი წლით. არავინ იცის, რა მოხდა ჰოველის ცხოვრებაში ამ ცოტა ხნის მანძილზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: კარგი კალათბურთელი თავისი გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა. იგი საკმაოდ მაღალია — 207 სანტიმეტრი, შესანიშნავად ხტება. მაგრამ ჰოველის ყველაზე ძვირფასი თვისებაა მისი სიმშვიდე, ფხიზელი გონება და ბრწყინვალე ტაქტიკური მომზადება. მიუხედავად ასეთი მაღალი ტანისა, ჰოველი ძალიან მკვირცხლია, მთელი მატჩის მანძილზე მოძრაობს, მუდამ თავისუფალ ადგილს ეძებს მეტოქის ფარქვეშ და, თუ ბურთი მის სიახლოვეს აღმოჩნდა, 2 ქულა გარდუვალია. ჰოველი ყველაზე სტაბილური მოთამაშეა თავის გუნდში. მას ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 28-30 ქულა მოაქვს. ტყორცნას ჰოველი უნაცვლებს საინტერესო გადაცემებს, რომელთა მეოხებითაც თავისი პარტნიორები მეტოქის კალათის ასაღებად მოხერხებულ პოზიციებზე გაჰყავს. როცა ჰკითხეს, რას უმადლი ასეთ ცვლილებას შენს თამაშშიო, მან თქვა: „ვუმადლი ბილ რასელს, კაცს, რომლისთვისაც მზად ვარ ცეცხლში და წყალში გადავვარდე. თავს არ დავზოგავ, რომ ის არ შევარცხვინო“. და მართლაც, „ბოსტონ სელტიკსი“ რაღაც განსაკუთრებული შთაგონებით თამაშობს. გუნდის წევრებს არ სურთ შეარყიონ რეპუტაცია ახალგაზრდა მწვრთნელისა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მათს გვერდით თამაშობდა, მათთან ერთად იყოფდა გამარჯვების სიხარულსა და მარცხის სიმწარეს. თავად რასელი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს ჰოველს. „როცა ბეილი მოედანზეა, — ამბობს იგი, — მე არ ვღელავ გუნდის გამო. იგი ბელადია, რომელიც ბრძოლაში მიუძღვის თავის რაზმს და ამხანაგებს მაგალითს აძლევს ბრწყინვალე თამაშით“.

## გაიცანით: რიჩარდ მოუნტი!

ამერიკის ერთ პატარა, წყნარ ქალაქ ლებანონში, მყუდრო ორსართულიან სახლში ცხოვრობს მაღალი, სიმპათიური ჭაბუკი, რომელმაც საოცრად მომხიბვლელი გაღიმება იცის. ყოველ დილით ფოსტაში ასობით წერილი მოდის ერთი და იმავე მისამართით: „ლებანონი, რიჩარდ მოუნტს, 1969 წლის მისტერ კალათბურთს“.

დღეს ძნელია ამერიკის სტუდენტურ კალათბურთში უფრო პოპულარული მოთამაშე მოიძებნოს. რიჩარდ მოუნტი საკმაოდ მაღალია — 198 სანტიმეტრი, ბრწყინვალე ტექნიკა და მაღალი ნახტომი აქვს. რაც მთავარია, უაღრესად ზუსტად ტყორცნის. ყოველივე ამის გამო იგი სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვარსკვლავია. ტყორცნის სიზუსტით ეს 20 წლის ჭაბუკი მხოლოდ პროფესიული ლიგის ცნობილ მოთამაშეს ჯერი უესტს ჩამოუვარდება. მოუნტი მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდში გამოდის და თითო შეხვედრაში საშუალოდ 30-35 ქულას აგროვებს. ამ ქულებიდან ნახევარზე მეტი შორიდან ტყორცნითაა მოპოვებული. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი თამაში კალიფორნიის უნივერსიტეტის გუნდთან, რომლის შემადგენლობაშიც პროფესიონალებში გადასვლის წინ უკანასკნელად თამაშობდა ლიუ ალსინდორი. სპეციალისტების აზრით ამ მატჩში ნაჩვენები იყო ყველაფერი, რითაც მდიდარია თანამედროვე კალათბურთი. მთავარი მოქმედი პირები რიჩარდ მოუნტი და ლიუ ალსინდორი იყვნენ. მათი თამაშის სიტყვით აღწერა შეუძლებელია. უბრწყინვალესი ტყორცნა, მამაცური გარღვევა, ფილიგრანული დრიბლინგი, უზუსტესი გადაცემები — აი, რით იყო მდიდარი ეს მატჩი. და მაინც, სტუდენტური კალათბურთის ორი ლიდერის ამ ბრძოლაში უპირატესობა, თუმცა ძლივს შესამჩნევი, რიჩარდ მოუნტის მხარეზე იყო. იგი ოდნავ უფრო ზუსტი აღმოჩნდა და სწორედ ამ პატარა პლუსმა მოუტანა გამარჯვება მიჩიგანის გუნდს. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წამი რომ დარჩა, მოუნტმა მოედნის კუთხიდან მაღალი ნახტომით აიღო მეტოქის კალათი და გამარჯვების სასწორი თავისი გუნდის სასარგებლოდ გადახარა. 73:71 — გაიმარჯვეს მიჩიგანელებმა. მოუნტმა გუნდს 31 ქულა მოუტანა და მათგან 28 შორიდან ტყორცნით იყო მოპოვებული.

წვრთნის დროს მოუნტმა დაღლა არ იცის. ტყორცნა, ტყორცნა, ტყორცნა ნებისმიერი მანძილიდან, ნებისმიერი მდგომარეობიდან. ერთ საწვრთნელ მეცადინეობაზე იგი დაახლოებით 200-250 ტყორცნას ასრულებს. მოუნტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ მომზადებას: კროსები მშობლიური ქალაქის შემოგარენში, ძალისმიერი ვარჯიში ხელ-ფეხის კუნთების გასავარჯიშებლად. მას ფანატიკურად უყვარს კალათბურთი და ბევრ რამეს სწირავს მსხვერპლად საყვარელ თამაშს. „რიჩარდმა დაივიწყა ყოველგვარი საღამოები და ცეკვები, ყველაფერი, რითაც, ჩვეულებრივ, ერთობიან ახალგაზრდები მის ასაკში. მთელ დროს იგი უნივერსიტეტში სწავლას და წვრთნას უთმობს“, — ამბობს მოუნტის დედა. შეიძლება ითქვას, რომ კალათბურთის სიყვარული მოუნტების ოჯახური ტრადიციაა. რიჩარდის მამა პიტ მოუნტი ორმოციან წლებში პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრის მოთამაშე იყო.

სწორედ მამის ხელმძღვანელობით გადადგა პირველი ნაბიჯები კალათბურთში რიჩარდ მოუნტმა. მისთვის ეს თამაში ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ახალგაზრდა კალათბურთელი დღეში ორჯერ ვარჯიშობს: დილით, უნივერსიტეტში წასვლამდე, და საღამოს, გუნდთან ერთად. ზაფხულობითა და არდადეგების პერიოდში მამა თავისი ვაჟისთვის წვრთნის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს. ისინი ცხოვრობენ ლებანონის მემორიალური პარკის ახლოს, სადაც შესანიშნავი სპორტული მოედანია მოწყობილი. მოუნტი მთელ თავისუფალ დროს იქ ატარებს: კალათში ტყორცნა, დრიბლინგისა და გადაცემის დახვეწა. თამაშის დროს მოუნტს გულდასმით მეურვეობენ, მაგრამ მაინც ვერაფერს უხერხებენ. მისი ერთადერთი ნაკლი დაცვაში სუსტი თამაშია. მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამაში მოუნტის ახალგაზრდობაა დამნაშავე და დროთა განმავლობაში ეს ნაკლიც გამოსწორდება. და მაშინ ამერიკის კალათბურთში ამობრწყინდება ახალი ვარსკვლავი, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე კალათბურთის ისეთი კორიფეების გვერდით, როგორიც არიან ჩემბერლენი, ბეილორი, რობერტსონი და სხვები.




სურათზე: ბ. ჰოველი (№ 18) თამაშის დროს.

# ჩემპიონატი სტარტს იღებს

4 აპრილს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ სტადიონზე (ძველეთის ქ. № 5) სტარტს იღებს საქალაქო ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები.

დებულების თანახმად, გათამაშება იწარმოებს სამ ჯგუფად. პირველ — უძლიერეს ჯგუფში ითამაშებენ სპორტკლუბ „უმბის“, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, № 3 ტაქსების კონტორის, არმიის სპორტკლუბის, მაუდ-კამვოლის კომბინატის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, № 1 სამგზავრო-სატრანსპორტო კონტორის, ელექტრომძრავის ქარხნის, სამედიცინო ინსტიტუტის, მწვრთნელთა სკოლის, სატელეფონო აპარატურის ქარხნისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები ვალდებული არიან 4 აპრილს მონაწილეობა მიიღონ ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო აღლუმში, რომელიც დაიწყება 11 საათზე. ფეხბურთის მოყვარულებს ამ დროისთვის ვიწვევთ მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე.

ი. გოჯორაძე,
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის ინსტრუქტორი.

# მესამე მატჩი — 0 : 1




ვარშავა, 30 მარტი. გუშინ ვარშავის „ურსუსის“ მექანიკური ქარხნების სტადიონზე გაიმართა პოლონეთისა და სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების საპასუხო შესარჩევი მატჩი. ერთადერთი ბურთი, რომელმაც მასპინძლებს მოუტანა გამარჯვება, 22-ე წუთზე გაიტანა მოლენდამ.

უეფა-ს ტურნირის III შესარჩევ ჯგუფში 3 თამაშის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს 3 ქულა აქვს. პოლონელებმა 2 ქულა დააგროვეს 2 მატჩის, ხოლო რუმინელებმა — 1 ქულა 1 შეხვედრის შემდეგ. 19 აპრილს საბჭოთა იუნიორები დასკვნით მატჩს გამართავენ რუმინეთში, ხოლო პოლონელები და რუმინელები 5 და 23 აპრილს ეთამაშებიან ერთმანეთს.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება შესარჩევი მატჩების ჩაუტარებლად მოიპოვეს შოტლანდიელებმა (შეჯიბრების მასპინძლები), ბულგარელებმა (წარსული შეჯიბრებაში გამარჯვებულნი), აგრეთვე, ბელგიის, ფინეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციის, შვეიცარიისა და უნგრეთის გუნდებმა.

წარმატებით განვლეს შესარჩევი მატჩები გდრ-ისა და საფრანგეთის იუნიორებმა.

# «საუკუნის მატჩმა» საათი ჩართო

ბელგრადი, 29 მარტი. პირველ დაფაზე ბ. ლარსენის თამაშის საკითხის გადაჭრა მხოლოდ „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდის კაპიტანს მ. ეუვეს შეეძლო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბელგრადს გვიან ღამით ჩავიდა და მაშინვე შეხვდა სსრ კავშირის გუნდის კაპიტანს დ. პოსტნიკოვს. მან კოლეგას აცნობა, რომ „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა" გუნდში არის ცვლილება. ფიშერი თანახმაა ითამაშოს მეორე დაფაზე, ამიტომ პირველ დაფაზე სპასკის წინააღმდეგ ლარსენი ითამაშებსო. საბჭოთა გუნდის კაპიტანმა მიიღო ეს ცვლილება და იგი საგანგებო ოქმით გააფორმეს.

დღეს დილით მოეწყო „საუკუნის მატჩის" კენჭისყრა. თეთრები შეხვდა სპასკის, ესე იგი, I ტურში კენტ დაფებზე მოთამაშე საბჭოთა მოჭადრაკეებსაც ამ ფერის ფიგურებით უნდა ებრძოლათ.

საღამოს სინდიკატების (პროფკავშირების) სახლში მატჩი საზეიმოდ გაიხსნა. ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა. ცერემონიალი კარგა ხანს გაგრძელდა და თამაში ერთი საათით გვიან დაიწყო.

სპასკი — ლარსენის პარტიაში პირველი სვლა გააკეთა... იუგოსლავიის მთავრობის მეთაურმა (რა თქმა უნდა, სპასკისთან შეთანხმებით). გათამაშდა ნიმცოვიჩის დაცვა. მე-16 სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა ხარისხი შესწირა და იერიშის მომზადებას შეუდგა, მაგრამ ლარსენმა პოზიციის გამარტივებით ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა.

პირველი რეშევსკი (აშშ) — სმისლოვის შეხვედრა დამთავრდა (VI დაფა). ამ პარტიაში ბრძოლა თავიდანვე მშვიდობიანად მიმდინარეობდა. ინიციატივის დაუფლება არც ერთ მეტოქეს არ უცდია და ამიტომ თამაშის მე-4 საათზე ისინი დაზავდნენ.

პეტროსიანმა ფიშერის წინააღმდეგ კარო-კანის დაცვა აირჩია. ამ სადებიუტო სისტემით მას ადრე დამარცხებული ჰყავს ამერიკელი დიდოსტატი. ამჯერად ფიშერმა უფრო აქტიური თამაშის შესაძლებლობა მიიღო და მეტოქის მეფეს როქის საშუალება მოუსპო.

ამ დროს სინდიკატების სახლის წინ, მარქსისა და ენგელსის სახელობის მოედანზე შეკრებილი რამდენიმე ათასი უბილეთო გულშემატკივარი იდგა. მათ საპროექციო აპარატებით უჩვენებდნენ პირველი ორი დაფის პარტიებს. ამ ხალხში შემთხვევით აღმოჩნდა საბჭოთა გუნდის სათადარიგო მონაწილე, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი. რა თქმა უნდა, მას ურიცხვ შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა.

ლ. პორტიშმა (უნგრეთი) ვ. კორჩნოისთან (III დაფა) საუცხოოდ გაითამაშა ესპანური პარტია და მცირე უპირატესობაც მიიღო. ვ. ჰორტმაც (ჩეხოსლოვაკია) პერსპექტიული პოზიცია შექმნა ლ. პოლუგაევსკისთან (IV დაფა) შეხვედრაში. ბოლოს ორივე პარტია გადაიდო პორტიშისა და ჰორტის უპირატესობით.

თანაბრად მიმდინარეობდა ივკოვ (იუგოსლავია) — კერესის (X დაფა) შეხვედრა. საბჭოთა დიდოსტატმა შეძლო მეტოქის მცირე სადებიუტო უპირატესობის უვნებელყოფა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

კარგად დაიწყეს ბრძოლა ე. გელერმა (V დაფა) ს. გლიგორიჩთან (იუგოსლავია), მ. ტაიმანოვმა (VII დაფა) — ვ. ულმანთან (გდრ), მ. ბოტვინიკმა (VIII დაფა) — მ. მატულოვიჩთან (იუგოსლავია) და მ. ტალმა (IX დაფა) — მ. ნაიდორფთან (არგენტინა). გელერმა და ტაიმანოვმა თითო პაიკი მოიგეს, ბოტვინიკმა და ტალმა პოზიციური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ ამ დღეს შეხვედრა მხოლოდ გელერმა და ტალმა დაამთავრეს: პირველმა ფარ-ხმალი დააყრევინა გლიგორიჩს, მეორე ყაიმზე შეუთანხმდა ნაიდორფს. სხვა პარტიები გადაიდო. საბჭოთა დიდოსტატებს გამარჯვების რეალური შანსი აქვთ.

ამასობაში ფიშერმა შესანიშნავად გამოიყენა თავისი პოზიცია და თამამად შეუტია პეტროსიანის მეფეს. მალე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი დანებდა. ყაიმზე შეთანხმდნენ სპასკი და ლარსენი.

ამრიგად, ჯერჯერობით პირველი დღის ანგარიშია 3:3 (4 პარტია გადადებულია).

# ორი თბილისელი — ფინალში

მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო გუნდური ასპარეზობის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს" კორტებზე პირადი პირველობა დაიწყო. მოზარდები ორ ასაკობრივ ჯგუფად ატარებენ შეჯიბრებას.

ქალიშვილთა ერთეულების თანრიგში უძლიერესის სახელისთვის ბრძოლაში 24 ჩოგბურთელი ჩაება. მათ შორის ორი თბილისელი იყო — ხ. კეკელია და ი. მირიმანოვა. კეკელიამ I წრე „უვნებლად" გაიარა, კიეველი მეტოქე ლ. გილი იოლად დაამარცხა (6:1, 6:4) და მერვედფინალში გავიდა. მერვედფინალში კეკელია ტალინელ ე. კომაროვას შეხვდა, მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწყო ძლიერ მეტოქესთან, დამარცხდა (2:6, 3:6) და IX-XVI ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში გადაინაცვლა. მეორე თბილისელმა, მირიმანოვამ პირველივე წრეში იწვნია მარცხი: წააგო მოსკოველ ე. გრანატუროვასთან (0:6, 2:6). სანუგეშო ტურნირის პირველი შეხვედრა ტალინელ მ. კალბერგთან მირიმანოვამ მოიგო (6:3, 6:4) და ახლა XVII-XX ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფშია.

ამ თანრიგში გამართული დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: I წრე. ნ. ბოროდინა (მინსკი) — გ. ჯუმბაევა (ალმა-ათა) 6:4, 6:3, თ. ზინინა (სოჭი) — ე. გიშიანი (ბაქო) 6:1, 6:3, ი. იაშენკინა (ლენინგრადი) — კ. პოდიაპოლსკაია (იალტა) 6:0, 2:6, 6:3, ე. მედვედევა (ლენინგრადი) — ი. შევჩენკო (ლიეპაია) 6:2, 6:3, ე. ბრიუხანჩიკოვა (კიევი) — ლ. გრანატუროვა (მოსკოვი) 8:6, 3:5, 6:2, გ. მალშინა (მოსკოვი) — კალბერგი 6:2, 6:3; მერვედფინალი. მ. კროშინა (ალმა-ათა) — ბოროდინა 6:4, 6:0, ლ. როგაჩოვა (ვიტებსკი) — ზინინა 9:7, 6:4, ო. ვორსინა (სოჭი) — იაშენკინა 3:6, 6:2, 6:2, ე. ბირიუკოვა (ბაქო) — მედვედევა 7:5, 6:4, ლ. ტოპოროკოვა (მოსკოვი) — ბრიუხანჩიკოვა 4:6, 6:1, 6:2, ე. გრანატუროვა — ი. კნიაზევა (სოჭი) 6:4, 6:0, ნ. რადაევა (მოსკოვი) — მალშინა 6:2, 6:2.

ჭაბუკთა ერთეულების თანრიგშიც 24 ჩოგბურთელი ასპარეზობდა. თბილისელებმა აქაც 2 მონაწილე გამოიყვანეს — ვ. ოსიპოვი და გ. აბრამიძე. პირველი წრე ორივემ მშვიდობიანად გაიარა (ოსიპოვმა დაამარცხა მოსკოველი ნ. გრეკოვი — 6:4, 2:6, 6:2, აბრამიძემ კი მოუგო ჩკალოვსკელ მ. ახუნოვს — 4:6, 8:6, 6:0), მაგრამ ერთმაც და მეორემაც მერვედფინალურ შეხვედრებში ფარ-ხმალი დაყარა. აქ ოსიპოვი დამარცხდა ტალინელ ვ. ლაპიმაასთან (0:6, 0:6), აბრამიძე — ალმაათელ ვ. ლიტვინოვთან (4:6, 4:6). ახლა თბილისელები IX-XVI ადგილებისთვის იბრძოლებენ.

ჭაბუკთა ერთეულების თანრიგში გამართული დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: I წრე. რ. ახმეროვი (ბაქო) — ა. ბოგომოლოვი (მოსკოვი) 6:4, 7:5, რ. ანტონიანი (ლენინგრადი) — მ. მეტსისი (ტალინი) 6:1, 6:1, ვ. გრიბი (მინსკი) — ვ. ილარიონოვი (მოსკოვი) 6:1, 7:5, ტ. კივისტიკი (ტალინი) — მ. დრაზნიუკი (ლიეპაია) 3:6, 8:6, 6:0, ი. გრიგორი (სევეროდონეცკი) — ლ. რაზგულიაევი (ლენინგრადი) 7:5, 6:3, ა. კორენეცი (მინსკი) — ო. ბოიკო (კიევი) 6:2, 4:6, 6:0; მერვედფინალი. ვ. ლაზარევი (სოჭი) — ახმეროვი 4:6, 6:3, 6:0, ანტონიანი — ს. კუზნიროვი (კიევი) 6:4, 6:2, ტ. კერგე (ტალინი) — გრიბი 7:5, 6:1, ე. პოზდნიაკოვი (მოსკოვი) — კივისტიკი 6:2, 1:6, 6:1, გრიგორი — ს. ლუკაშინი (სოჭი) 6:1, 6:2, კორენეცი — ა. რუდი (ალმა-ათა) 6:4, 6:3.

შერეულთა თანრიგში პირველობისთვის ბრძოლა მერვედფინალიდან დაიწყო. თბილისს ამ თანრიგში მონაწილე არ გამოუყვანია. მერვედფინალის ტექნიკური შედეგები ასეთია: კროშინა, რუდი — შევჩენკო, დრაზნიუკი 6:0, 7:5, როგაჩოვა, გრიბი—ტოპოროკოვა, გრეკოვი 8:6, 6:2, ზინინა, ლუკაშინი — მალშინა, ილარიონოვი 7:5, 6:4, კომაროვა, ლაპიმაა — ბოროდინა, კორენეცი 6:4, 6:3, რადაევა, პოზდნიაკოვი — იაშენკინა, ანტონიანი — 7:5, 6:3, ე. გრანატუროვა, ბოგომოლოვი — კალბერგი, კერგე 6:2, 8:10, 6:3, ბირიუკოვა, ახმეროვი — ბრიუხანჩიკოვა, კუზნიროვი 6:1, 6:3, ვორსინა, ლაზარევი — ლ. გრანატუროვა, მეტსისი 6:2, 6:1.

გოგონათა ერთეულების თანრიგში პირველობას 8 ნორჩი ჩოგბურთელი ეცილებოდა ერთმანეთს. აქ თავი ისახელა თბილისელმა მ. ელერდაშვილმა, რომელმაც ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა. მან ჯერ კიეველი ე. ემეცი დაამარცხა (6:2, 6:2), შემდეგ კი სოჭელი ნ. ლუკაშინა (6:1, 6:3). ამ უკანასკნელმა მანამდე გაიმარჯვა ალმაათელ ო. ბაბიისთან შეხვედრაში (6:4, 6:1). მეორე ფინალისტია მინსკელი ს. კორზუნი, რომელმაც მოუგო მოსკოველ ნ. მიკლაშევსკაიას (6:3, 6:3) და ლენინგრადელ ნ. ბოგდანოვას (6:4, 2:6, 6:4). ბოგდანოვამ ადრე დაამარცხა ტალინელი ტ. სიიტამი (6:4, 7:5) და ახლა III-IV ადგილებისთვის დანიშნულ მატჩში შეხვდება ლუკაშინას.

ბიჭების ერთეულთა თანრიგშიც 8 ნორჩმა ჩოგბურთელმა დაიწყო ასპარეზობა. აქ ბრძოლაში ორი თბილისელი ჩაება: ა. ახვლედიანი და გ. ელერდაშვილი. პირველი შესანიშნავად თამაშობდა, ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო (ალმაათელ პ. კოლესნიკოვთან — 6:1, 6:1, და მინსკელ ა. მირონჩიკთან — 6:3, 2:6, 6:4) და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. ელერდაშვილი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა (მოსკოველ ბრენდესთან — 3:6, 3:6), შემდეგ V-VIII ადგილებისთვის გამართული პირველი ორთაბრძოლაც წააგო (ტალინელ ა. მილკთან — 3:6, 3:6) და ახლა მხოლოდ VII ან VIII ადგილზე გასვლისთვის ცდის ბედს. ფინალში ახვლედიანის მეტოქე იქნება ბრენდე, რომელმაც დაამარცხა სოჭელი ა. სემერჯიანი (1:6, 6:2, 6:4).

გოგონათა ოთხმა წყვილმა უნდა გაარკვიოს, ვინ იქნება მათ შორის უძლიერესი. თბილისელი ელერდაშვილის თანამეწყვილეა ლენინგრადელი ნ. ბოგდანოვა. ამ დუეტმა პირველი შეხვედრა (ემეცთან და სიიტამთან) იოლად მოიგო (6:3, 6:3) და ფინალში გავიდა. ფინალის საგზურები მოიპოვეს ბაბიიმ და კორზუნმაც, რომლებმაც მოუგეს მიკლაშევსკაიას და ლუკაშინას (7:5, 6:4).

ზ. ირინაული.

# რაპირით — დიდებისკენ

მინსკი, 27 მარტი. „ახალგაზრდა მოფარიკავეებს საასპარეზოდ მინსკის ბრწყინვალე სპორტის სასახლე დაუთმეს. მონაწილეთა უმრავლესობა პირველად გამოდის ასეთ დიდ შეჯიბრებაში და ახლა ნათლად გამოჩნდება, ვის რა შეუძლია", — თქვა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პ. ფერიმ (საფრანგეთი), რომელიც საბჭოთა კავშირში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის სანახავად ჩამოვიდა.

დღეს სტარტი აიღო 200-ზე მეტმა მოფარიკავემ, რომელთა ასაკი ჯერ 20 წელიც არ არის. ჩემპიონატი რაპირით მებრძოლებმა გახსნეს. 12 ბალიკზე უკვე დილიდანვე დაიწყო საინტერესო შეჯიბრება. რასაკვირველია, ახალგაზრდებს ჯერ კიდევ აკლიათ თავშეკავება, სათანადო ოსტატობა, გამოცდილება, მაგრამ ეს ყველაფერი დროთა განმავლობაში მოვა.

სულ სარბიელზე გამოდიან 25 ქვეყნის — ალჟირის, ავსტრიის, ბელგიის, კუბის, დანიის, აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიის, უნგრეთის, ირანის, იტალიის, ლუქსემბურგის, საბერძნეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, გდრ-ის, გფრ-ის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, შვეციის, რუმინეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის, სსრ კავშირის ახალგაზრდა „მუშკეტერები".

ტურნირი წარმატებით დაიწყო სამივე საბჭოთა რაპირისტმა — კიეველმა ა. ვოლოშინმა, ნოვოსიბირსკელმა ი. ტროშინმა და მინსკელმა ა. რომანკოვმა. ვოლოშინი და ტროშინი სტუდენტები არიან, 16 წლის რომანკოვი კი ჯერ სკოლაში სწავლობს.

მთელ დღეს გასტანა რაპირისტთა შეჯიბრებებმა ჯგუფებში. ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო. სხვათა შორის, მინსკში მასჯობენ ისეთი სახელგანთქმული მოფარიკავეები, როგორიც არიან ე. პავლოვსკი (პოლონეთი), პ. კოვაჩი (უნგრეთი), მ. მიდლერი, ი. რილსკი, ვ. ჟდანოვიჩი (ყველა—სსრ კავშირი), მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების სხვა ჩემპიონები.

ასპარეზობის ყველა ეტაპი ჩინებულად გაიარა ეკონომიური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ი. ტროშინმა. ნახევარფინალში მან ხუთი გამარჯვება მოიპოვა, მათ შორის, მძაფრ ბრძოლაში აჯობა უნგრელ ლ. სომოდის, რომელიც ჯერ დაწინაურდა (4:1), მაგრამ შემდეგ წააგო შეხვედრა—4:5.

ტროშინი ფინალში გავიდა. ხვალ დასკვნით შეჯიბრებაში მისი მეტოქეები იქნებიან თანაგუნდელი ა. ვოლოშინი, ფრანგი დ. ფლამენი, კ. ჰერტორი (გდრ), ჰ. ჰაინი (გფრ) და ა. კალიხსკი (პოლონეთი).

საღამოს მოეწყო ჩემპიონატის გახსნის ლამაზი ცერემონიალი. დარბაზში 26 ეროვნული დროშა ფრიალებდა — შეჯიბრების ორგანიზატორები ჯერ კიდევ მოელიან ტუნისელი სპორტსმენების ჩამოსვლას.

ჩემპიონატის პირველ დღეს ფინალური ტურნირი არ ჩატარებულა, მაგრამ მინსკის სპორტის სასახლეში 5000-ზე მეტი მაყურებელი მოვიდა.

• • •

მინსკი, 30 მარტი. რაპირისტ გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ყაზანის 31-ე სკოლის მოსწავლე, 18 წლის ვ. ნიკონოვა, რომელიც პირველად გამოდის ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში. მან ფინალურ ტურნირში ხუთივე ორთაბრძოლა მოიგო.

ვერცხლის მედალი მიიღო ფინალური ასპარეზობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 15 წლის მოსკოველმა მოსწავლემ ვ. ბუროჩკინამ, ბრინჯაოს ჯილდო ხვდა 19 წლის ი. პოპკენს (გფრ). ფინალში მათ 3-3 გამარჯვება მოიპოვეს. ამ ორ სპორტსმენს შორის ჩატარდა დამატებითი შეჯიბრება, რომელიც ანგარიშით 4:0 მოიგო მოსკოველმა.

ჩემპიონატში რაპირისტ ვაჟთა პირველი ოქროს მედალი დაისაკუთრა ჰ. ჰაინმა (გფრ). ვერცხლის მედალი ხვდა კიეველ სტუდენტს ა. ვოლოშინს, ბრინჯაოსი — ვარშაველ სტუდენტს ა. კალიხსკის.

ვ. დუტოვი,
ა. ერმაკოვი.
(საქდესის სპეც. კორ.).

# ჯაიანი და ლომაძე — საუკეთესონი

ყოველწლიურად ტარდება იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში. გამარჯვებისთვის მებრძოლნი წლეულს ბარნაულში შეიკრიბნენ. საინტერესო იყო ტურნირი სპორტულ ცეკვაში. სპორტის ოსტატთა პროგრამით ასპარეზობაში თავიდანვე დაწინაურდნენ მოსკოველები ს. ალექსეევა და ა. ბოიჩუკი. მათ უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს, 368,6 ქულა მოაგროვეს (ადგილების ჯამი — 7) და ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდათ საქართველოს ჩემპიონებს, თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ მ. ჯაიანსა და თბილისის 130-ე სკოლის მერვეკლასელს თ. ლომაძეს. როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერ ვარჯიშში ისინი შეთანხმებულად, სწრაფად, დიდი გამომსახველობით ცეკვავდნენ, რთულ მოძრაობებს დახვეწილად ასრულებდნენ და გამარჯვებაც მოიპოვეს.

სპორტის ოსტატთა პროგრამით წყვილთა სრიალში ყველას აჯობეს მოსკოველებმა ი. ჩერნიაევამ და ვ. ბლაგოვმა — 301,6 (7).

# [illegible]

● ნიჟნი-ტაგილი, 27 მარტი. დამთავრდა იუნიორთა საკავშირო პირველობა ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში. საშუალო ასაკის „მფრინავ მოთხილამურეთა" შორის ყველას აჯობა მოზრდილებში საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა ს. ზონტოვმა („ტრუდი"), რომელმაც 230,3 ქულა დააგროვა. უფროს ასაკში პირველობა მოიგო ნ. ვესელოვმა („დინამო") — 191 ქულა. ორჭიდში საუკეთესონი იყვნენ: საშუალო ასაკში — ვ. შოვრინი („დინამო") — 403,75, უფროს ასაკში — ფ. ზაქიროვი („ტრუდი") — 430.

● კიროვსკი, 27 მარტი. პროფკავშირთა პირად-გუნდური პირველობა „ბურევესტნიკის" პირველი კოლექტივის გამარჯვებით დამთავრდა. ქალთა პირად ტურნირში იმარჯვეს: სპეციალურ სლალომში — ი. ტურუნდაევსკაიამ (ლენინგრადი), სწრაფდაშვებაში — ნ. მერკულოვამ (მოსკოვი), გიგანტურ სლალომსა და სამჭიდში — გ. სიდოროვამ (მოსკოვი). ვაჟებში სპეციალური სლალომი მოიგო ვ. ლოგინოვმა (პერმი), გიგანტური სლალომი — ა. ტორმოსინმა, ხოლო სწრაფდაშვებასა და სამჭიდში უძლიერესი იყო ვ. მელნიკოვი (ორივე — მოსკოვი).

● ელისტა, 29 მარტი. აქ გაიმართა მოტობურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი: სსრ კავშირის თასის მფლობელმა — ადგილობრივმა „კომეტამ" ანგარიშით 8:1 დაამარცხა „ომიჩი" (ომსკი). ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის წლეულს 9 უძლიერესი გუნდი იბრძვის. მოტობურთის საუკეთესო ოსტატებს წინ აქვთ ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც კონტინენტის წამყვანი ნაკრები გუნდები იასპარეზებენ.

● მურმანსკი, 29 მარტი. „ჩრდილოეთის დღესასწაულში", რომელიც 36-ედ ტარდება, გდრ-ის, ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ფინეთისა და სსრ კავშირის ათასამდე მოთხილამურე ჩაება. პირველ დღეს გაიმართა 5 და 15 კილომეტრზე რბოლა. ქალთა შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი მსოფლიოს ჩემპიონებმა მოიპოვეს. გაიმარჯვა ნ. შებალინამ — 16.42. II და III ადგილები გაიყვეს ნ. ფიოდოროვამ და გ. კულაკოვამ — ორივემ 16.47 აჩვენა. 15 კილომეტრზე ვაჟთა რბოლა მოიგო ვ. ვორონკოვმა — 46.51. ფ. გიზატულინი (ორივე — სსრ კავშირი) მას 20 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა ე. ლაიშერი (გდრ) — 47.29.

● რიგა, 29 მარტი. „დაუგავას" აუზში მიმდინარეობს იუნიორ მოცურავეთა საკავშირო ტურნირი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. შეჯიბრებაში ზონალურ ტურნირებში გამოვლენილი 335 საუკეთესო სპორტსმენი გამოდის. ვ. შესტოპალოვმა („სპარტაკი") 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში 2.13,5 აჩვენა და ჭაბუკთა შორის ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. ძველი მიღწევა (2.16,4) გააუმჯობესა ვ. კარპოვმაც („სპარტაკი") — 2.15,6.

# –20½

◆ რუკატუნტური, 30 მარტი. ფინეთის ამ დაბის ტრამპლინზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. რაშკამ (ჩეხოსლოვაკია) — 215 ქულა (ნახტომები—105,5 და 104 მ). II ადგილზეა კ. კოდეიშკა (ჩეხოსლოვაკია) — 210,5 (109,5 და 97). ტალინელმა „მფრინავმა მოთხილამურემ" ტ. ლაივამ VI ადგილი დაიკავა — 199,0 (103,5 და 96). 30-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ფინელმა ჰ. ტაიპალემ — 1:42.46. ესტონეთის წარმომადგენელი ვ. ზელენცოვი XVI ადგილზეა — 1:49.23.

◆ ტამპა, 30 მარტი. არიზონის შტატის ამ ქალაქში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ამერიკელმა სტუდენტმა, 21 წლის მ. მიურომ: მან აშშ-ს რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში (89,21 მ), რაც ძველ რეკორდს მეტრზე მეტით აღემატება და საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე